დამტკიცებულია შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის
კადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ოქტომბრის 17/21 ოქმით
ცვლილება 2022 წლის 7 ნოემბრის აკადემიური საბჭოს N17/22 ოქმით
ცვლილება 2023 წლის 7 თებერვლის აკადემიური საბჭოს N 20/22 ოქმით
ცვლილება 2023 წლის 16 მარტის აკადემიური საბჭოს N 20/22 ოქმით
ცვლილება 2024 წლის 15 თებერვლის აკადემიური საბჭოს N 20/22 ოქმით
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2024 წლის 20 დეკემბრის 16/24 ოქმით

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი

COLLEGE

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3
მუხლი 2. შეფასების სისტემა 3
მუხლი 3. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია 5
მუხლი 4. სტუდენტის პორტფოლიო და შესრულების მტკიცებულება 5
მუხლი 5. შეფასების უწყისის წარმოება და რეგისტრაცია 6
მუხლი 6. შეფასების შედეგების გაცნობა და უკუკავშირი 7
მუხლი 7. განმეორებითი, უარყოფითი შეფასება და მიღებული შეფასების გასაჩივრება 7
მუხლი 8. სააპელაციო კომისია 8
მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი და პირობები 8
მუხლი 10. შუალედური შეფასების თავისებურებები დუალური პროგრამებისთვის 10
მუხლი 11. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის/სერტიფიკატის გაცემა 10
მუხლი 12. გარდამავალი დებულებები 11

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, 2022 წლის 9 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილება N416-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მოქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციების და დაწესებულების წესდების საფუძველზე.

მუხლი 2. შეფასების სისტემა

1. პროფესიული სტუდენტის შეფასება, მის მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების/კომპეტენციების ფლობის დადასტურების პროცესია.
2. შეფასების მიზნებია:
   ა) შესაფასებელი პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა;
   ბ) უკუკავშირის მეშვეობით შესაფასებელი პირისთვის შემდგომი სწავლის დაგეგმვის ხელშეწყობა;
   გ) ინდივიდუალური მიღწევების შეფასება;
   დ) კვალიფიკაციის მინიჭება;
   ე) დამსაქმებლებისთვის ინფორმაციის მიწოდება;
   ვ) არაფორმალური განათლების აღიარება.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა უნდა იყოს (დეტალური ინფორმაცია შეფასების სისტემის მოთხოვნების მიმართ იხილეთ კოლეჯის ვერიფიკაციის მექანიზმებში):
   ა) ვალიდური;
   ბ) სანდო;
   გ) გამჭვირვალე;
   დ) სამართლიანი;
   ე) ობიექტური
4. სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სხვადასხვა მიმართულება.
5. **შეფასების მიმართულებები** მოცემულია თითოეულ მოდულში. მოდულით განსაზღვრული შეფასების მიმართულება შეიძლება იყოს:
   5.1 **გამოკითხვა -** გამოიყენება ძირითადად აკადემიური უნარების შესაფასებლად, მაშინ, როდესაც საჭიროა სტუდენტის ცოდნის, აღქმისა და გაგების, ნასწავლის გამოყენების (ტრანსფერის), მსჯელობის, ანალიზის, დაგეგმვისა და შეფასების უნარების განსაზღვრა. შესაძლებელია ინტეგრირდეს პრაქტიკული დავალების შეფასებაში. თეორიული ცოდნის გამოსავლენად გამოყენებული ნებისმიერი **შეფასების ინსტრუმენტი** რელევანტურია ამ მიმართულებისათვის, ეს შეიძლება იყოს:
   ა) ტესტი
   ბ) ზეპირი შეკითხვები
   გ) ესსე
   დ) წერითი დავალება

ე) როლური თამაში და სხვ.

5.2 პრაქტიკული დავალება - სწავლის შედეგის მიღწევის დასადასტურებლად შესაფასებელი პირი ქმნის მტკიცებულებას. მტკიცებულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს პროდუქტის სახით. სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის მიერ შექმნილი მაკეტი, დეტალი ან სტუდენტის შრომით დამზადებული სხვა სახის ნამუშევარი, ასევე პროექტის შექმნა, მიღებული გადაწყვეტილება და ა.შ. პროდუქტის/შედეგის შეფასების ნაწილი შეიძლება მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ზეპირი შეკითხვები, ნამუშევრის ავთენტურობაში დასარწმუნებლად. შეფასების ინსტრუმენტი, შესაბამისად, იქნება პრაქტიკული დავალება.

5.3 **პრაქტიკული დავალება დაკვირვებით -** პროფესიული მასწავლებელი აკვირდება სტუდენტის მუშაობას ამოცანის შესრულების პროცესში. დაკვირვება ხორციელდება სამუშაო ადგილზე ან სამუშაო პირობებში. პროცესზე დაკვირვებისათვის რელევანტური **შეფასების ინსტრუმენტია** პრაქტიკული დავალება, სიმულაცია და სხვა, რაც სტუდენტის მიერ გარკვეული სამუშაოს შესრულებას ითვალისწინებს. პროცესზე დაკვირვების ნაწილი შეიძლება იყოს ზეპირი შეკითხვები, რათა დავრწმუნდეთ, რომ სტუდენტი ამ მოქმედებებს გაცნობიერებულად აკეთებს.

6. შეფასება შეიძლება იყოს **განმავითარებელი** ან **განმსაზღვრელი.**

6.1 განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომელსაც ახორციელებს პროფესიული მასწავლებელი. მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება, განვითარების ხელშეწყობა, ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა, უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა: რჩევა-დარიგება, სიტყვიერი კომენტარი, დაკვირვების ფურცელი და სხვა. განმავითარებელი შეფასების შედეგებს გავლენა არ აქვს საბოლოო შეფასებაზე და არ შეიტანება დიპლომის დანართში. განმავითარებელ შეფასებას წარმოადგენს შუალედური შეფასებაც (დეტალურად განხილულია - მუხლი 9).

6.2 განმსაზღვრელი შეფასება არის მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგის/შედეგების შეფასება, მოდულით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, რომლის შედეგები შეიტანება დიპლომის დანართში. განმსაზღვრელი შეფასება თავისი არსით კონკრეტული სწავლის შედეგის ან სწავლის შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებაა. ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

7. სწავლის შედეგის შეფასებისას, მასწავლებელი თავად განსაზღვრავს კონკრეტული სწავლის შედეგით გათვალისწინებული შესრულების კრიტერიუმიდან რომელი ან რამდენი შესრულების კრიტერიუმი უნდა ჰქონდეს დაკმაყოფილებული სტუდენტს, იმისთვის რომ დადასტურებულად ჩაეთვალოს სწავლის შედეგი.
8. შეფასება შეიძლება განხორციელდეს როგორც თითოეული სწავლის შედეგის დასრულებისთანავე, ასევე, მოდულის დასრულების შემდეგ. შეფასებისას შესაძლებელია სწავლის შედეგების გაერთიანებაც.
9. სწავლის შედეგების შეფასებისას აუცილებელი არ არის რიგითობის დაცვა.
10. პროფესიული განათლების მასწავლებელი, განმსაზღვრელ შეფასებამდე **3 სამუშაო დღით ადრე** პროფესიული სტუდენტებს აცნობებს დეტალურ ინფორმაციას შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის შესახებ.
11. შეფასების ეტაპებია:

    11.1 შესაფასებელი სწავლის შედეგების განსაზღვრა;

    11.2 სწავლის შედეგებისათვის შესრულების კრიტერიუმების განსაზღვრა;

    11.3 შეფასების ინსტრუმენტის შექმნა;

    11.4 შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება (ვალიდაცია);

    11.5 შეფასების განხორციელება;

    11.6 შეფასების შედეგების გაფორმება და მტკიცებულებათა შენახვა.
12. თუ კონკრეტული მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს მხოლოდ აღნიშნული მოდულის ჩაბარების შემთხვევაში ეძლევა სხვა მოდულზე დასწრების შესაძლებლობა.

13. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები პროგრამაზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.
14. დუალური სწავლების დროს, სტუდენტი აწარმოებს ჩანაწერების ჟურნალს (დანართი N1).
    14.1 პროფესიული სტუდენტი ვალდებულია საწარმოში სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში აწარმოოს ჩანაწერების ჟურნალი და ავსებდეს რეგულარულად;
    14.2 ჩანაწერების ჟურნალს ამოწმებს და მის ნამდვილობას ადასტურებს საწარმოს ინსტრუქტორი;
    14.3 საწარმოში ინსტრუქტორის მიერ პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება ხდება ჟურნალის ჩანაწერების საფუძველზე;
    14.4 სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი **საკვალიფიკაციო გამოცდაზე** დაშვების წინაპირობაა;
    14.5 ჩანაწერების ჟურნალის მონიტორინგს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მენეჯერი.

მუხლი 3. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია

1. შეფასების ინსტრუმენტს ქმნის მოდულის განმახორციელებელი პირი.
2. შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრულია შესაფასებელი სწავლის შედეგი/შედეგები.
3. სავალდებულოა, რომ შეფასების ინსტრუმენტი შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგის შეფასების მიმართულებას (გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება ან პრაქტიკული დავალება დაკვირვებით).
4. შეფასების ინსტრუმენტი ნათლად უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დავალების შესახებ. შესაფასებელი პირისათვის გასაგები უნდა იყოს თუ რა სახის უნარებისა და საქმიანობის შესრულებას ელიან მისგან.
5. შეფასების ინსტრუმენტის ფორმა დამტკიცებულია ამ წესის დანართი N2 ის შესაბამისად.
6. პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას იყენებს კონკრეტულ მოდულს.
7. შეფასების ინსტრუმენტის **ვალიდაცია** ხორციელდება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, შესაბამისი დარგის სპეციალისტის ჩართულობით.
    7.1 შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს პროფესიული მასწავლებელი შეფასების ჩატარებამდე **1 კვირით ადრე,** ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან მატერიალური ფორმით შესათანხმებლად წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს. იგი შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად განიხილავს მის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობასა და ვალიდაციის შემთხვევაში ადასტურებს მას.
    7.2 შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის კრიტერიუმები მოცემულია შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ვერიფიკაციის მექანიზმებში (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N 03/20 ოქმით).
    7.3 ვალიდურ შეფასების ინსტრუმენტს ახლავს: სასწავლო პროცესის მენეჯერის ხელმოწერა, წარწერა, რომ შეფასების ინსტრუმენტი ვალიდურია და ინსტრუმენტის შეფასება ვალიდაციის კრიტერიუმების მიხედვით.
    7.4 ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად, კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში.
8. პროფესიულ მასწავლებელს არ შეუძლია სასწავლო პროცესის პროცესის მენეჯერთან შეუთანხმებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება.

მუხლი 4. სტუდენტის პორტფოლიო და შესრულების მტკიცებულება

1. ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებით.
2. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას.

3. შესრულების მტკიცებულებებს აგროვებს პროფესიული მასწავლებელი, რომელიც მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს.
4. პროფესიული სტუდენტების მიერ შექმნილი მტკიცებულებები ინახება **სტუდენტის პორტფოლიოში,** სასწავლო პროცესის მენეჯერთან, შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. ვადის გასვლის შემდეგ კოლეჯი იტოვებს უფლებას აღნიშნული მასალის განადგურება განხორციელდეს კოლეჯის ელექტრონული ან/და მატერიალური საცავო სისტემიდან.
5. სტუდენტების პორტფოლიო იწარმოება ელექტრონული (იმ შემთხვევაში, როდესაც მტკიცებულება ელექტრონულია) და მატერიალური სახით (იმ შემთხვევაში, როდესაც მტკიცებულება მატერიალურია).
6. სტუდენტის პორტფოლიო უნდა მოიცავდეს:
   6.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას
   6.2 მოდულის დასახელებას
   6.3 სტუდენტის სახელსა და გვარს
   6.4 ჯგუფის ნომერს
   6.5 მტკიცებულებებს
   6.6 შეფასებებს
7. პორტფოლიო დაორგანიზებული უნდა იყოს სტუდენტების მიხედვით.
8. პორტფოლიო დაყოფილი უნდა იყოს მოდულებად, ხოლო თითოეული მოდულის მიხედვით მასში განთავსებული უნდა იყოს სტუდენტის მიერ შესრულებული მტკიცებულებები და მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასებები.
9. შესრულების მტკიცებულებები უნდა მოიცავდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.
10. მასწავლებელი განმსაზღვრელი შეფასების შედეგს აფორმებს **განმსაზღვრელი შეფასების ფურცელზე** (დანართიN6)**,** უნდა მოიცავდეს:
    10.1პროგრამის დასახელებას
    10.2მოდულის დასახელებას
    10.3შეფასების თარიღს
    10.4შემფასებლის სახელსა და გვარს
    10.5შემფასებლის ხელმოწერას
    10.6სტუდენტის სახელსა და გვარს
    10.7ჯგუფის ნომერს
    10.8დადასტურებულ სწავლის შედეგ/ებ/ს
    10.9მტკიცებულების ტიპს/სახეს
    10.10 განმსაზღვრელი შეფასების შედეგს

11. სასწავლო პროცესის მენეჯერი აწარმოებს მტკიცებულებათა აღრიცხვის ელექტრონულ ჟურნალს, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას (დანართი N3):
    11.1პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;
    11.2მოდულის სახელწოდება;
    11.3 მოდულის დაწყებისა და დასრულების თარიღი;
    11.4პროფესიული სტუდენტების სახელი და გვარი;
    11.5 ჯგუფის ნომერი;
    11.6 მტკიცებულებების შესახებ ინფორმაცია (ელექტრონული/ბეჭდური/სხვ.);
    11.7 მტკიცებულებების შენახვის ადგილი.

მუხლი 5. შეფასების უწყისის წარმოება და რეგისტრაცია

1. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება შეფასების უწყისით.

2. შეფასების უწყისი ფორმდება მოდულის დასრულებიდან (საბოლოო შეფასებების ჩატარება, განმეორებითი შეფასების ჩათვლით) **ათი კალენდარული დღის** ვადაში;
3. სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის მენეჯერთან. ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.
4. შეფასების უწყისში მიეთითება ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის სახელწოდების, მოდულის კოდის, ჯგუფის ნომრის, სტუდენტების ჩამონათვალის, სწავლის შედეგების დადასტურება/არ დადასტურების; უწყისის შედგენის თარიღის შესახებ;
5. შეფასების უწყისს აწარმოებს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი და ხელმოწერით ადასტურებს უწყისში მოცემული ინფორმაციის სისწორეს;
6. სასწავლო პროცესის მენეჯერი აწარმოებს უწყისების სარეგისტრაციო ჟურნალს, რომელშიც მითითებულია შემდეგი ინფორმაცია:
   ა) უწყისის რეგისტრაციის ნომერი;
   ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;
   გ) მოდულის დასახელება;
   დ) პროფესიული განათლების მასწავლებელი;
   ე) უწყისის შევსების თარიღი.

მუხლი 6. შეფასების შედეგების გაცნობა და უკუკავშირი

1. განმავითარებელი შეფასების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტისათვის უკუკავშირის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება მისი სურვილის შესაბამისად ან ჯგუფში (წერილობითი ან სიტყვიერი თანხმობის შემდეგ) ან მასწავლებლის მიერ მიწოდებული პერსონალური უკუკავშირით.
2. განმსაზღვრელი შეფასებისას მიღებული შედეგები სტუდენტებს ეცნობებათ **2 დღის ვადაში,** ინდივიდუალურად, კოლეჯის შიდა სისტემის საშუალებით ან/და სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

მუხლი 7. განმეორებითი, უარყოფითი შეფასება და მიღებული შეფასების გასაჩივრება

1. მოდულით გათვალისწინებული განმსაზღვრელი შეფასების საპატიო მიზეზით (ჯანმრთელობის მდგომარეობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება, სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც პროფესიული სტუდენტისაგან დამოუკიდებლად შეუძლებელს ხდის შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას) **გაცდენის** შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს აქვს თითოეულ მოდულში **განმეორებით შეფასებაზე** გასვლის შესაძლებლობა **ერთჯერადად;** ხოლო ზოგად მოდულებში, ასევე, პროფესიულ მოდულებში, რომლებიც ამავდროულად არ წარმოადგენენ სხვა მოდულების წინაპირობას, უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ორჯერ.
   1.1 პროფესიულმა სტუდენტმა განმეორებით შეფასებაზე გასვლისთვის განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს. განცხადება განმეორებით შეფასებაზე გასვლის მოთხოვნის შესახებ მიიღება განმსაზღვრელი შედეგის გაცნობიდან მეორე დღეს, ხოლო აღდგენა ინიშნება **ოთხი დღის ვადაში.** განმეორებით დამატებით შეფასებაზე გასვლის შემთხვევაში - განცხადება მიიღება შეფასების გამოქვეყნებიდან მეორე დღეს, ხოლო განმეორებითი დამატებითი შეფასება ინიშნება ოთხი დღის ვადაში.
2. **უარყოფითი** შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს, ასევე, აქვს უფლება მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერადად. ხოლო ზოგად მოდულებში, ასევე, პროფესიულ მოდულებში, რომლებიც ამავდროულად არ წარმოადგენენ სხვა მოდულების წინაპირობას, უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ორჯერ.

2.1 დამატებითი შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტის განცხადება მიიღება შეფასების გამოქვეყნებიდან **მეორე დღეს,** ხოლო **დამატებითი შეფასება** სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ ინიშნება **ოთხი დღის ვადაში.** განმეორებით დამატებით შეფასებაზე გასვლის შემთხვევაში - განცხადება მიიღება შეფასების გამოქვეყნებიდან მეორე დღეს, ხოლო განმეორებითი დამატებითი შეფასება ინიშნება ოთხი დღის ვადაში.

2. განმეორებით გამოცდის შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებელს შეუძლია იგივე შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება. ახალი შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც გამოცდაზე გამოყენებული იყო ტესტები (ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია კითხვების რიგითობის შეცვლა, სწორი პასუხების რიგითობის შეცვლა და სხვ).
3. პროფესიული მასწავლებელი პროფესიული სტუდენტის მიერ დაწერილ როგორც ძირითად, ასევე განმეორებით გამოცდას ამოწმებს არაუმეტეს **2 დღის ვადაში.**
4. განმეორებითი შეფასების შემდეგ, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგი ეთვლება მიუღწევლად. ხოლო ზოგად მოდულებში, ასევე, პროფესიულ მოდულებში, რომლებიც ამავდროულად, არ წარმოადგენენ სხვა მოდულების წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგი ეთვლება მიუღწევლად დამატებით გამოცდაზე ორჯერადად გასვლის შემთვევაში, უარყოფითი შედეგის მიღების დროს.
5. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიღებული შედეგი **გაასაჩივროს.** ამისათვის, შედეგის ასახვიდან **2 დღის ვადაში** განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს.
6. საჩივრის რეგისტრაციიდან **2 სამუშაო დღის განმავლობაში,** დირექტორის ბრძანების საფუძველზე, იქმნება **სააპელაციო კომისია** (შემდგომში კომისია) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს **5 სამუშაო დღეს.**
7. განხილვის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება საჩივრის ავტორს და განემარტება მისი უფლებები და მოვალეობები აღნიშნული განხილვის ფარგლებში.

მუხლი 8. სააპელაციო კომისია

1. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: პროგრამის ხელმძღვანელი (ინტერესთა კონფლიქტი გამორიცხვით), სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამისი დარგის სპეციალისტი - პროფესიული განათლების მასწავლებელ(ებ)ი (პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი), რომელთა უფლება მოვალეობები იქნება გაწერილი.
2. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით. გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან აფასებს პროფესიულ სტუდენტს განმსაზღვრელი შეფასებით, რომლის შედეგების საფუძველზე საოქმო დადგენილების სახით, აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე.
3. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი და პირობები

1. შუალედური შეფასების მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების დონის დადგენა. საგანი კი არის პროფესიული ცოდნა, უნარები/კომპეტენციები, რომლის შინაარსიც ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელ მოდულებს.
2. შუალედური შეფასების თემატიკა მოიცავს შეფასების მომენტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების დასრულებულ სწავლის შედეგებს.
3. შუალედური შეფასება ტარდება სწავლების შუა პერიოდში, კერძოდ როდესაც პროფესიულ სტუდენტს გავლილი ექნება მოდულების შესაბამისი სწავლის შედეგების არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60%.

4. შუალედური შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ხორციელდება შეფასებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.
5. შუალედური შეფასების ფარგლებში გამოიყენება დიფერენცირებული ან/და არადიფერენცირებული შეფასება.
6. შუალედური შეფასება განმავითარებელი დანიშნულებისაა, შესაბამისად სრულდება განმავითარებელი უკუკავშირით. ანუ პროფესიულ სტუდენტს მიეწოდება უკუკავშირი მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და სწავლის ხელშეწყობის მიზნით.
7. შუალედური შეფასების განხორციელებისას, პროფესიული სტუდენტის შეფასებისთვის, გამოიყენება წინასწარ შემუშავებული შეფასების რუბრიკა.
8. შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს კომპლექსური პრაქტიკული დავალების, დასრულებული ან მიმდინარე პროექტის ან პორტფოლიოს პრეზენტაციის სახით.
9. შუალედური შეფასების დავალებები შეიძლება იყოს:
    - კომპლექსური დავალება
    - პრაქტიკული დავალება
    - პრეზენტაცია
    - პორტფოლიოს პრეზენტაცია
    - დასრულებული ან მიმდინარე პროექტი
    - პროფესიული სტუდენტის მიერ საკუთარი სწავლის შედეგების ანალიზი თვითშეფასების ანგარიში მომზადების გზით
    - სხვა.
10. შუალედური შეფასებისთვის დაწესებულებაში იქმნება **შუალედური შეფასების კომისია.**

    10.1 კომისიის წევრი შეიძლება იყოს:

    10.1.1 დარგის სპეციალისტი (პროფესიული მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი);

    10.1.2 განათლების სპეციალისტი (სასწავლო პროცესის მენეჯერი, დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით);

    10.1.3 სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელი;

    10.1.4 პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი;

    10.1.5 დარგობრივი ასოციაციის წარმომადგენელი;

    10.1.6 დუალური პროგრამების შემთხვევაში, პარტნიორი სასწავლო საწარმოს წარმომადგენელი.

    10.2 დარგობრივი კომისიის შემადგენლობა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, რაც გულისხმობს, რომ პროგრამის განმახორციელებლის შეფასება მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს კომისიის გადაწყვეტილებაზე.

    10.2.1 შეფასების კომისიის თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს პროგრამის განმახორციელებელი.

    10.2.2 შეფასების კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი წევრისგან.

    10.2.3 შუალედური შეფასების შედეგების ასახვა კომისიის წევრების მიერ განხორციელდება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

    10.3 შუალედური შეფასების თარიღები და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით.

    10.3.1 **შეფასების თარიღებისა და კრიტერიუმების შესახებ** პროფესიული სტუდენტების ინფორმირება უნდა განხორციელდეს შეფასების დაწყებამდე **არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე.**

    10.3.2 შუალედური შეფასების შედეგების შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება განხორციელდება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით.

    10.4 შუალედური შეფასების საპატიო მიზეზით (ჯანმრთელობის მდგომარეობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება, სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც პროფესიული სტუდენტისაგან დამოუკიდებლად შეუძლებელს ხდის შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას) გაცდენის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს აქვს **განმეორებით შეფასებაზე** გასვლის შესაძლებლობა ერთჯერადად;

10.4.1 პროფესიული სტუდენტის განცხადება განმეორებით შეფასებაზე გასვლის მოთხოვნის შესახებ მიიღება იმავე დღეს, ხოლო აღდგენა ინიშნება არაუგვიანეს ერთი თვის **ვადაში.**

10.5 შუალედური შეფასების ჩატარება სავალდებულოა სამუშაოზე დაფუძნებული ყველა პროგრამისთვის, გარდა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომლის ფარგლებშიც მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა არ აღემატება 75 კრედიტს.

მუხლი 10. შუალედური შეფასების თავისებურებები დუალური პროგრამებისთვის

1. შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ სრულფასოვნად შევსებული და ინსტრუქტორის/ინსტრუქტორების მიერ დამოწმებული „პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი“.
   1.1 ჩანაწერების ჟურნალის ფორმას დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ, რომლის საფუძველზეც კოლეჯმა შეიმუშავა „შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის ფორმა“.
   1.2 ჩანაწერების ჟურნალში აღირიცხება პროფესიული სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობები სასწავლო საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების ნაწილში.
   1.3 ჩანაწერების ჟურნალი წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებას.
   1.4 სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს, თვეში არანაკლებ ერთხელ ამოწმებს ჩანაწერების ჟურნალში ჩანაწერების არსებობას, სისრულესა და მართებულობას.
   1.5 სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორი უფლებამოსილია არ დაეთანხმოს ჟურნალში არსებულ ჩანაწერებს და პროფესიულ სტუდენტს მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითება.
   1.6 სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორი შუალედურ შეფასებამდე, ასევე პროგრამის დასრულებამდე და პროგრამის განხორციელების ადგილის ცვლილებამდე, ჩანაწერების ჟურნალში არსებული ჩანაწერების შეფასების საფუძველზე, ადასტურებს ან არ ადასტურებს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.
2. სასწავლო საწარმოს შორის გაფორმებული **ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება** განსაზღვრავს თანამშრომლობას შუალედური შეფასების საკითხებთან, პროცედურებთან და შუალედური შეფასების სამართლებრივ შედეგთან დაკავშირებით;
3. შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებების გატარების მიზნით, პარტნიორი საწარმოს ინფორმირება შუალედური შეფასების შედეგებთან დაკავშირებით ხორციელდება შუალედური შეფასების შედეგების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში, ელექტრონული ფორმით ან/და შეხვედრის ფორმატში.

მუხლი 11. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის/სერტიფიკატის გაცემა

1. კვალიფიკაცია არის დაწესებულების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით. მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების შემთხვევაში სერტიფიკატით.
   1.1 დიპლომთან ერთად გაიცემა დიპლომის დანართი, რომელიც წარმოადგენს დიპლომის განუყოფელ ნაწილს.
   1.2 სერტიფიკატთან ერთად გაიცემა სერტიფიკატის დანართი, რომელიც წარმოადგენს სერტიფიკატის განუყოფელ ნაწილს.
2. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა მოდულით (ზოგადი, პროფესიული) გათვალისწინებული კრედიტი.
3. თითოეულ მოდულს მინიჭებული აქვს კრედიტების რაოდენობა, რომელსაც პროფესიული სტუდენტი იღებს მხოლოდ მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის მიღწევის შემდეგ.

4. პროფესიული სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენებული უნარების შეფასება.
5. კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს დაწესებულების დირექტორი ბრძანებით, სასწავლო პროცესისა მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.
6. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი, ასევე, სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი, გაიცემა პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში.
7. საბაზო/საშუალო /უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად პირს ენიჭება შესაბამისად ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის კვალიფიკაცია.
8. დიპლომის/სერტიფიკატის დაკარგვის/განადგურების შემთხვევაში, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს კოლეჯის დირექტორს. კოლეჯი 1 თვის ვადაში ამზადებს დიპლომის/სერტიფიკატის დუბლიკატს.
9. პროფესიული სტუდენტი, რომელიც სრულად ვერ ასრულებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულს, უფლებამოსილია, მოითხოვოს სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი, განვლილი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ.

მუხლი 12. გარდამავალი დებულებები

1. ამ წესის მე-10 მუხლით გათვალისწინებული პროცედურები არ ვრცელდება დუალური სწავლების განხორციელებაში ჩართულ პარტნიორებზე, რომლებთან ხელშეკრულებაც გაფორმდა აღნიშნული ცვლილების შეტანამდე.
2. შუალედური შეფასების შედეგების ასახვა კომისიის წევრების მიერ, ელექტრონული პლატფორმის გამართვამდე, განხორციელდება წინასწარ შემუშავებული შეფასების შედეგების ფორმაში და შედგება ოქმი, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.
3. შუალედური შეფასების შედეგების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება, ელექტრონული პლატფორმის გამართვამდე განხორციელდება ამ წესის მუხლი 6.2-ის შესაბამისად.
4. ამ წესის მე-9 მუხლით გათვალისწინებული პროცედურები, ასევე, 11.4 და 11.5 პუნქტები მოდულურ პროგრამებთან მიმართებაში ამოქმედდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღიდან.
5. ამ წესის 2.12 პუნქტით გათვალისწინებული დანართი#1 - ჩანაწერების ჟურნალი, ვრცელდება 2023 წლის მიღების დუალური პროგრამის სტუდენტებზე. 2023 წლამდე მიღებულ სტუდენტები ავსებენ მანამდე არსებულ ჩანაწერების ჟურნალს.